

შესავალი სამოქალაქო სამართალში

უზოგადესი კონსპექტი

თემატური სარჩევი:

პირი	2
ქონება	2
მოქმედება.....	2
პირი	3
ფიზიკური პირი	3
იურიდიული პირი.....	4
პირთა ერთობლიობა იურიდიული პირის სტატუსის გარეშე.....	5
ქონება	6
ქონების ცნება და სახეები	6
ნივთის ცნება და სახეები	6
ადამიანის სხეული.....	7
ცხოველი.....	7
სანივთო უფლებები	7
მოქმედება	8
„ნების გამოვლენისა“ და „გარიგების“ ცნებები; მათი განმარტება.....	8
ბათილობა და ნამდვილობის შემაფერხებელ გარემოებებთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი შედეგები	10
ბათილობა	10
საცილობა	11
მერყევად ბათილობა	13
ნების გამოვლენის სამართლებრივ-ტექნიკური ფორმა	15
ნების გაცნობიერებული ნაკლი	17
კაზუსების ამოხსნის მაგალითები	18

კონსპექტი გაკეთებულია წიგნის: „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები - დავით კერესელიძე“ მიხედვით!

შესავალი

(კერძო სამართლის სამი ძირითადი ცნება)

საქართველოს სახელმწიფო ცნობს ადამიანის „საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს“ და იცავს მათ, როგორც „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს“.

- ადამიანის ღირსება და სიცოცხლე ხელშეუვალია;
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია;
- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები აღიარებული და გარანტირებულია;
- ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

ამ უმნიშვნელოვანეს ფასეულობებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა კერძო სამართლის სისტემის სამი ძირითადი ელემენტი: პირი (სუბიექტი); ქონება (ობიექტი) და მოქმედება (მოქმედების თავისუფლება).

პირი

ადამიანის ღირსების დაცვა სამართალში მისი პიროვნების ხელშეუვალობისა და თავისუფალი განვითარების უფლებების აღიარებით გამოიხატება. ადამიანის პიროვნებისადმი პატივისცემისა და კანონის წინაშე თანასწორობის ნიშნად, გამოიყენება სისტემური ცნება - „პირი“. პირებად იწოდებიან კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები - კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთა მიმართაც, როგორც წესი, მოქმედებს ერთგვაროვანი წესები.

ქონება

ქონება არის სიკეთე, რომელზეც მიმართულია სუბიექტის მოქმედების თავისუფლება. ეს ცნება მოიცავს ყველა სიკეთეს, რომლის მიმართაც მოქმედებს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები. მის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ცნება - კერძო სამართლის ობიექტი.

სიკეთეზე უფლების წარმოშობისთვის, ანუ მის ქონებად აღიარებისთვის, აუცილებელია არსებობდეს ინდივიდის სუბიექტური ინტერესი და ამავდროულად მისი რეალიზების ობიექტური, ანუ სამართლებრივი ინტერესი. ამ შემთხვევაში სამართლებრივი ინტერესი სხვა ინდივიდთა თანხმობაა, კონკრეტული სიკეთე იქცეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად.

მოქმედება

„მოქმედება“ - ემყარება მოქმედების თავისუფლებას. იგი გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან და ურთიერთობის შინაარსის განმსაზღვრელი ცნებაა, რომელიც სწორედ ინდივიდის თავისუფლების რეალიზების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობაა. სამართლის მიზანი, - ინდივიდის ინტერესების სამართლიანი განხორციელება და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებაა და განაპირობებს კერძო ავტონომიის პრინციპის აღიარებას.

ინდივიდი თავისუფალია იმოქმედოს საკუთარი შეხედულებებისამებრ, თუ მისი ქმედება არ იჭრება სხვა ინდივიდის თავისუფლების ფარგლებში.

პირი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. ცნება „პირი“ არის არა სამართლებრივ-ეთიკური, არამედ სამართლებრივ-ტექნიკური კატეგორია. პირს აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და სსკ-ის დებულებებით განმტკიცებული მოქმედების თავისუფლება. შესაბამისად, სამართლებრივად აღიარებულია მისი შესაძლებლობა, გახდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგების ადრესატი: აღიჭურვოს ცალკეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი უფლებებით და შესაბამისად იტვირთოს ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მოვალეობები.

ფიზიკური პირი

ადამიანის ფიზიკურ პირად და, შესაბამისად, უფლებაუნარიანად აღიარება უკავშირდება ერთადერთ გარემოებას - მის სიცოცხლეს. შესაბამისად, ადამიანის ღირსებისა და მისი თავისუფალი განვითარების უფლებების პატივისცემიდან გამომდინარე უფლებაუნარიანობა აქვს ყველა ადამიანს თანაბრად, დაბადების მომენტიდან, გარდაცვალების მომენტამდე.

ადამიანის უფლებაუნარიანობის დასაწყისს სსკ-ის მე-11 მუხლი უკავშირებს მის „დაბადებას“. დაბადებაში იგულისხმება ცოცხალი ბავშვის სრული გამოყოფა დედის საშოდან.

ამასთან, მნიშვნელოვანია გარდაცვალების მომენტის ზუსტი დადგენა. სსკ-ის მე-11 (2) მუხლით, ასეთ მომენტად მიჩნეულია თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

მართლწესრიგის მიერ ფიზიკური პირისათვის დაბადებით მინიჭებული უფლებაუნარიანობა შემოიფარგლება უფლებებისა და მოვალეობების „პასიური“ უნარით. იმისთვის, რომ პირმა დამოუკიდებლად შეიძინოს უფლებები, შესაბამისად, იტვირთოს მოვალეობები და წარმოშვას სამართლებრივი შედეგები, მას უნდა ჰქონდეს ქმედუნარიანობა.

სსკ-ის მე-12 (1) მუხლი განმარტავს ქმედუნარიანობას, როგორც ფიზიკური პირის უნარს „თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“.

ადამიანის ქცევას სამართლებრივი შედეგები რომ მოჰყვეს, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი ქცევის მართვისა და შედეგის გააზრების უნარი. სამართლებრივი წესრიგი სწორედ ამ წინაპირობების არსებობას უკავშირებს პირის ქმედუნარიანად აღიარებას.

სსკ-ის მე-12 (4) მუხლის შესაბამისად, 7 წლამდე ასაკის არარულწლოვანი ქმედუნაროა. მე-12 (5) მუხლის თანახმად, ქმედუნაროდ ითვლება პირი „ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის“ გამოც.

სსკ-ის მე-14 (1) მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანი შვიდიდან თოთხმეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.“

ყურადღებას საჭიროებს აგრეთვე ქმედუნარიანობის მიმართება დელიქტთანაც. სსკ-ის 994 (1) მუხლის შესაბამისად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი დელიქტუუნაროა, ანუ არ აგებს პასუხს საკუთარ ქმედებებზე და ამ ქმედებების შედეგად გამოწვეულ ზიანზე.

ადამიანის პიროვნულობა განუყოფელია მისი უფლებაუნარიანობიდან. შესაძლოა ადამიანის პიროვნულ უფლებად თავად უფლებაუნარიანობის ქონაც კი მოიაზრებოდეს.

ინდივიდის სახელის უფლება მისი პიროვნებისგან განუყოფელია. სსკ-ის მე-18 (1) მიმართულია „სახელის ტარების უფლების შეცლილბასა“ და „სახელით უნებართვო სარგებლობის“ შემთხვევებში ადამიანის პიროვნების დაცვაზე.

გამოსახულების უფლება გულისხმობს პირის უფლებას, მხოლოდ მისი თანხმობით მოხდეს საკუთარი გამოსახულების საჯაროდ ჩვენება. ეს უფლება ვრცელდება ფოტოგრაფიის, ვიდეოგადაღებებისა თუ სხვა

საშუალებებით მიღებულ ნებისმიერ გამოსახულებაზე. სსკ-ის მე-18 (5) მუხლი აწესებს გამონაკლისს ამ ზოგადი წესიდან: „თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან დაკავშირებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური.

პატივის დაცვა გულისხმობს ადამიანის უფლებას, უსამართლოდ არ იქნეს წარმოდგენილი საზოგადოებაში უარყოფით ქრილში.

ინტიმური სფეროს დაცვაში მოიაზრება განდობილი აზრებისა და განცდების მესამე პირისთვის გადაემის აკრძალვა.

პირადი სფეროს დაცვაში იგულისხმება ინდივიდის ცხოვრების წარმართვის ავტონომიური სფეროს აღიარება, რომელშიც იგი საკუთარ თავთან რჩება და საკუთარ ინდივიდუალურობას აღიარებს სხვათა მონაწილეობის გარეშე.

ადამიანის პიროვნული უფლებაა აზრისა თუ შეხედულებების ფორმირებისა და მისი გამოხატვის უფლება.

სსკ-ის მე-18 (2) მუხლი ითვალისწინებს პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისაგან „კანონით დადგენილი წესით“ დაცვას.

სსკ-ის მე-19 მუხლით წესრიგდება პიროვნული უფლებების დაცვა ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. მართალია კანონმდებელი უშუალოდ მოიხსენიებს მხოლოდ „სახელისა“ და „პირადი ღირსების უფლების“ დაცვას, თუმცა ადამიანის ღირსების პატივისცემა განაპირობებს ნებისმიერი იმ პიროვნული უფლებების დაცვას გარდაცვალების შემდეგაც, რომლებთან მიმართებითაც არსებობს შემდგომი დაცვის ინტერესი.

იურიდიული პირი

ფიზიკური პირის გარდა სამართლებრივი წესრიგის მიერ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად „იურიდიული პირის“ აღიარება დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა.

სსკ-ის 24-ე (1) მუხლის თანახმად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.“

თუ ეს ყოველივე კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრირდება, წარმოიქმნება იურიდიული პირი, რომელიც მისი დამფუძნებლებისა თუ წევრებისაგან დამოუკიდებლად მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში.

იურიდიული პირი ორი სახის შეიძლება იყოს: საჯარო და კერძო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) იქმნება „კანონის საფუძველზე“ და წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებულ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა სახის საჯარო საქმიანობას.

კერძო სამართლის იურიდიული პირი კი მისი დამფუძნებლის თუ დამფუძნებელთა ერთობლივი ნების გამოვლენის საფუძველზე იქმნება. მისი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა ამ ნების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტიდან.

ძირითადი განსხვავება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ისაა, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, მაშინ როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია იმოქმედოს მხოლოდ კანონით დადგენი და განსაზღვრულ ფარგლებში.

განასხვავებენ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს.

სამეწარმეო იურიდიული პირი შექმნილია მოგების მიღების მიზნით, ხოლო არასამეწარმეო ემსახურება ე.წ. იდეალურ ანუ არაკომერციულ მიზნებს და მისთვის სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ამ მიზნის მიღწევისთვის დამატებითი, დამხმარე „ინსტრუმენტი“.

იურიდიული პირის ვალდებულებებზე პასუხისმგებელია თავად იურიდიული პირი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარი ქონებით. დამფუძნებლები, როგორც წესი, არ არიან ინდივიდუალურად პასუხისმგებლები იურიდიული პირის ვალდებულებებზე. თავის მხრივ არც იურიდიული პირი არის პასუხისმგებელი თავისი წევრების ინდივიდუალურ ვალდებულებებზე. ამასთან, არსებობს კანონით პირდაპირ გატვალისწინებული შემთხვევები, როდესაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს არა იურიდიულ პირს, არამედ უშუალოდ მისი სახელით მოქმედ ორგანოს თუ სხვა „დაკავშირებულ პირს“. მაგალითად, სსკ-ის 37-ე მუხლით, „ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების“ მქონე პირს ეკისრება „საქმის კეთილსინდისიერად გაძროლის“ ვალდებულება.

პირთა ერთობლიობა იურიდიული პირის სტატუსის გარეშე

სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს პირთა გაერთიანებამ თუ „ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა“ იურიდიული პირის სტატუსის გარეშე. ამ შემთხვევაში მისი, მისი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა განპირობებულია მასში გაერთიანებულ პირთა უფლებაუნარიანობით.

საერთო ნიშნების მიუხედავად, იურიდიული პირისგან ასეთი „წარმონაქმნი“ განსხვავდება სწორედ იმით, რომ მას არ აქვს სახელმწიფო წესრიგის მიერ რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებაუნარიანობა. ცხადია მას ვერ ექნება არსებითად იურიდიული პირის სტატუსთან დაკავშირებული სხვა ნიშნები. თუმცა, იურიდიული პირის მსგავსად, „არარეგისტრირებული წარმონაქმნიც“ იქმნება მასში გაერთიანებულ პირთა ნების გამოვლენის საფუძველზე, საერთო ინტერესების ერთობლივად განსახორციელებლად. „არარეგისტრირებულ წარმონაქმნს“ შესაძლოა ჰქონდეს აგრეთვე ქონება, რომელიც იმიჯნება მასში გაერთიანებული პირების ქონებისაგან.

იურიდიული პირისაგან განსხვავებით, „არარეგისტრირებული წარმონაქმნის“ საქმიანობის მოწერიება ხდება არა წესდებით, არამედ ხელშეკრულებით.

ასეთ პირთა გაერთიანება სარგებლობს კონსტიტუციით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლებიდან გამომდინარე დაცვით. იურიდიული პირის მსგავსად, მას გააჩნია პიროვნული უფლებები, რომლებიც არ უკავშირდება ცალკე აღებული ინდივიდის პიროვნებას.

საჯაროსამართლებრივი თვალსაზრისით, „არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნი“ თანაბრდება იურიდიულ პირთან.

ქონება

ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, მისი მოქმედებისა თუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი არის ყველაფერი, რაზეც მიმართულია ინდივიდის სუბიექტური უფლება. „ქონება“ არის ნივთი, ანუ „არათავისუფალ“ თუ „არაგონიერ“ ბუნებას მიკუთვნებული, მატერიალური, და ამავე დროს, არამატერიალური, - ქონებრივი უფლება, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება არეზობდეს როგორც ნივთზე, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე.

ქონების ცნება და სახეები

სსკ-ის მე-7 მუხლის შესაბამისად, „კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“.

აღსანიშნავია, რომ ობიექტის ცნებას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ ქონების ცნების სინონიმად.

ქონება შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სახით.

მატერიალური ქონებაა ნივთი. ის უნდა იყოს სივრცობრივად გამოყოფილი (დამოუკიდებლად არქმადი) და „დამორჩილებადი“.

სსკ-ის 152-ე მუხლის შესაბამისად, „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საამისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე.“

არამატერიალურ ქონებას განეკუთვნება, მაგალითად, პატენტიდან, სასაქონლო ნიშნიდან, ადგილწარმოშობის დასახელებიდან, გეოგრაფიული აღნიშვნიდან, საწარმოს სახელწოდებიდან გამომდინარე თუ მატთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებები.

ნივთის ცნება და სახეები

სსკ-ის 148-ე მუხლი აწესრიგებს „ნივთის სახეებს“. იგი მიჯნავს მოძრავ და უძრავ ნივთებს. გარდა ამისა, მიზანშეწონილია გამიჯვნათა დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება და ნივთის ისეთი სახეების გამოყოფა, რომლებიც ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსზე ამახვილებენ ყურადღებას. ასეთია მაგალითად, ჩანაცვლებადი და არაჩანაცვლებადი, აგრეთვე მოხმარებადი და არამოხმარებადი ნივთების გამიჯვნა.

კანონმდებელი სსკ-ის 148-ე მუხლში უშუალოდ მიუთითებს, რომ „ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი“. უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი, ანუ სივრცობრივად გამოყოფილი, საკადასტრო წესით აზომილი და საჯარო რეესტრში სპეციალური აღნიშვნით რეგისტრირებული მიწის ზედაპირი. ყველა სხვა ნივთი არის მოძრავი ან უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. კანონმდებელი სსკ-ის 149-ე მუხლში მიუთითებს, რომ „უძრავ

ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღოსეულით, მასზე არსებული მცენარეები, შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.“

ჩანაცვლებადია ნივთი, რომელიც განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით. ბუნებრივია, იგი ვერ იქება რაიმე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული. შესაბამისად, ერთნაირი, თუ ურთიერთჩანაცვლებადი ნივთებიდან არსებითად სულერთია, რომელი მათგანი იქნება გამოყენებული ვალდებულების შესასრულებლად. ჩანაცვლებად ნივთებს მიეკუთვნება, მაგალითად, ფული, ფასიანი ქაღალდები, სერიული წარმოების საქონელი და ა.შ.

ამის საპირისპიროდ, არაცანაცვლებად ნივთებად მიიჩნევა მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, განსაკუთრებულ სივრცესა თუ წარმოებას მორგებული მანქანა - დანადგარები და ა.შ.

მოხმარებადია ნივთი, როდესაც მისი ჩვეულებრივი დანიშნულება სწორედ მისი მოხმარებით, გალევით ვლინდება. ასეთი ნივთებია, მაგალითად, საკვები, მედიკამენტები, საწვავი და ა.შ..

არამოხმარებად ნივთებად ითვლება თხოვებისა თუ ქირავნობის საგანი. ასეთი გარიგება ამ ნივთით სარგებლობის ეკონომიკურ მიზანს ეწინააღმდეგება. სწორედ ამიტომ მათზე იდება სესხის ხელშეკრულება.

არსებობს აგრეთვე გაყოფადი და განუყოფელი ნივთები. გაყოფადისგან განსხვავებით, განუყოფელი ნივთის ნაწილებად დაყოფა შეუძლებელია, ან შესაძლებელია მისი ღირებულების არსებითად შემცირების ხარჯზე.

ადამიანის სხეული

ცოცხალია ადამიანის სხეული თუ მისი ცალკეული ნაწილი არ არის ქონება. თავად ადამიანსაც არ გააჩნია თავის სხეულზე საკუთრების უფლება, თუმცა მიიჩნევა, რომ ადამიანის სხეულზე ვრცელდება მისი ნება, რაც შესაძლებელია გაუთანაბრდეს მესაკუთრის სამართლებრივ ძალაუფლებას თავის საკუთრებაზე. ადამიანს აქვს პიროვნული უფლება საკუთარ ხელშეუხებლობაზე. უფლება - ავნოს თავის სხეულს, რაც მის „საკუთრებასთან გათანაბრებული“ უფლებიდან შესაძლებელია გამომდინარეობდეს, არ უნდა არსებობდეს. დასაშვებია აღიარებულ იქნეს მხოლოდ „სიკვდილის უფლება“, უფრო ზუსტად, „უფლება სრულფასოვან სიცოცხლეზე“, სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმის უფლების გაგებით.

ცხოველი

ცხოველს არ გააჩნია ღირსება, შესაბამისად, არც პიროვნულობა და უფლებაუნარიანობა. იგი სამართლის ობიექტად, ქონებად განიხილება. ამავდროულად, კონტინენტური ევროპის კოდიფიკაციებში შეინიშნება ცხოველის „განსაკუთრებულობის“ აღიარების ტენდენცია.

სანივთო უფლებები

აბსოლუტური უფლება ანუ „სანივთო უფლება“ მიმართულია და მისგან გამომდინარე „სანივთო მოთხოვნა“ განხორციელებადია ნებისმიერი პირის მიმართ. ყველა „სანივთო უფლება“ აბსოლუტურია და ყველა მათგანი ქონებაზე ინდივიდის ძალაუფლების, ბატონობის ფორმის გამომხატველია.

საკუთრება ქონებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოექცეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, იგი ამ ქონების ზედს განაგებს მასზე მესამე პირების ზემოქმედების გამორიცხვის თვალსაზრისითაც.

სსკ-ის 170-ე (1) მუხლი საკუთრების უფლებას დეტალურად არეგულირებს: „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“

მფლობელობა არის სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული „ფაქტობრივი“ ძალაუფლება თუ „ბატონობა“ ქონებაზე, როგორც წესი, ნივთზე. შესაძლებელია ქონებრივი უფლების მფლობელობაც. ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივი ბატონობა ვლინდება უფლებით სარგებლობით, მისი განხორციელებით.

სსკ-ის 155-ე (1) მუხლში კანონმდებელი მიუთითებს, რომ „მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.“ ანუ მფლობელს უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის ნება.

მფლობელობა არის აგრეთვე ქონებაზე საკუთრების წარმოშობის წინაპირობა. მაგალითად სსკ-ის 165-ე მუხლის შესაბამისად, მოძრავ ნივთებზე 5 წლის, ხოლო სსკ-ის 167-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებზე 15 წლის განმავლობაში ფლობის შემტხვევაში, პირი ამ ნივთებზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას ხანდაზმულობის მეშვეობით.

მოქმედება

ინდივიდის მოქმედების თავისუფლება მიმართულია მისი ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამასთან, სხვა ინდივიდების ანალოგიური უფლება ბოჭავს მას თავისი ნების რეალიზებაში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსებისთვის.

„ნების გამოვლენისა“ და „გარიგების“ ცნებები; მათი განმარტება

სსკ-ის 50-ე მუხლი განმარტავს, რომ „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, მრავალმხრივი ნების გამოვლენა“. მოძღვრება გარიგების შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული პანდექტური სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. ცნება „გარიგება“ ნაწარმოებია უფრო ზოგადი ცნებისგან - „ადამიანის მოქმედება“. მის გამოსახატავად იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინები „სამართლებრივი მოქმედებები“ და „სამართლებრივი გარიგებები“.

„ნების გამოვლენა“ არის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული სუბიექტური ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადება. იგი მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე. „გამოვლენა“ ამ ნების ობიექტურად გაცხადებაა იმ სახით, რომ გასაგები, აღქმადი იყოს ადრესატის მიერ.

ნება, რომელიც გამოვლენილი არ არის არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის საჭიროა სახეზე იყოს ნების გამოვლენის სუბიექტური (მოქმედების, გამოვლენის და სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება) და ობიექტური კომპონენტები.

„მოქმედების ნება“ არის ნების ფორმირებისა და, შესაბამისად, ნების გამოვლენის სავალდებულო კომპონენტი. თუ არ არსებობს მოქმედების ნება, ვერ იარსებებს თავად ნების გამოვლენაც. მოქმედების ნება არ არსებობს, მაგალითად, რეფლექსური მოძრაობისას, ძილში ბოდვისას და ა.შ. იგივეა შემთხვევა, როდესაც პირზე ფიზიკურად ზემოქმედებენ. ამ შემთხვევაში არ ხდება ნების ფორმირება, ვინაიდან, რეალურად მის ნაცვლად სხვა პირი მოქმედებს.

„გამოვლენის ნება“ სამართლებრივად არსებითი ნების ფორმირებისა და მისი გაცნობიერებული გამოხატვის სურვილია. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს, მოქმედების ნება, არ არის გამორიცხული, იგი განსხვავდებოდეს „გამოვლენის ნებისგან“. მაგალითად, ხელის აწევა აუქციონის დროს, სხვა პირის დასაძახებლად და ა.შ. არსანიშნავია, რომ თანამედროვე სამართლაში, „გამოვლენის ნებაში“ შეცდომა არარ მიიჩნევა ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობად. ეს იმით აიხსნება, რომ გამოხატვის სახისა თუ ხერხის შერჩევისას ინდივიდისათვის მინიჭებული თავისუფლება ამავდროულად მას გარკვეულ პასუხისმგებლობას ანიჭებს. იგი ატარებს „გამოვლენის რისკს“ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შერჩეული სახით გამოხატული ნება, ობიექტური განმარტების მიხედვით, განსხვავდება მისი ჭეშმარიტი ნებისაგან. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მას ექნება შეცილების უფლება.

არსებითად ანალოგიურ შედეგს იწვევს „სამართლებრივი შედეგის დადგომის ნების“ არქონა. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს არ სურს კონკრეტული შედეგის დადგომა, თუმცა ცნობიერად გამოხატავს სამართლებრივ შედეგზე მიმართულ ნებას, ანუ აქვს „გამოვლენის ნება“. იგი ამ დროს ვარაუდობს სხვა სამართლებრივი შედეგის დადგომას, ვიდრე ეს მისი ნების გამოვლენის ობიექტურად, განმარტებიდან ამომდინარე, მოჰყვება.

ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობაა მისი შემადგენლობის არსებობა, ანუ სამართლებრივ შედეგზე მიმართული ნების ფორმირებისა და სათანადოდ დასრულება.

ცალმხრივ ნების გამოვლენას სამართლებრივი შედეგები მოჰყვება სხვა პირთა თანაქმედების მიუხედავად. მაგალითად, ანდერძი ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილობისთვის არ საჭიროებს იმ პირთა ინფორმირებას, რომელთა მიმართაც დგება მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი (არამიღებასავალდებულოა). აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მოშლაც ცალმხრივი ნების გამოვლინებაა, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის აუცილებელია ხელშეკრულების მეორე მხარის ინფორმირება. (მიღებასავალდებულოა)

შესაბამისად, ერთმანეთისაგან გასამიჯნია მიღებასავალდებულო და არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა ნამდვილია „მისვლის“ მომენტიდან, როდესაც ადრესატს ობიექტურად შეცნობადი გარემოებებით საშუალება აქვს გაეცნოს მის შინაარსს. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა ადრესატი გაეცნობა თუ არა მას. არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენა კი ნამდვილია მისი „გაცხადების“ მომენტიდან, ანუ როდესაც დასრულებულია სუბიექტური ნების ფორმირება და მისი ობიექტურად შეცნობადად გამოხატვის პროცესი.

ნების გაცხადება ინდივიდის ნების გამოვლენის გამოვლენის ნამდვილობისთვის მასზე დამოკიდებული აუცილებელი წინაპირობების შესრულებაა. აღნიშნული გულისხმობს ინდივიდის მიერ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების იმ სახით გამოხატვას, რომ მის „საბოლოოობაზე“ ეჭვი აღარ დარჩეს.

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა „გაცხადებულია“, როდესაც გამომვლენმა იგი ადრესატისკენ მიმართა ისე, რომ მისი „საბოლოოობა“ ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, თუ ნება ინდივიდის ძალაუფლების სფეროს მისი სურვილის გარეშე დატოვებს, იგი ვერ იქნება გამოვლენილი, არამედ შეიქმნება მხოლოდ „გაცხადების ილუზია“. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია „არაგაცხადებულ ნებას“ მოჰყვეს რაიმე სახის იურიდიული შედეგი.

სსკ-ის 51 (2) მუხლით წესრიგდება ნების გამოვლენის „გამოთხოვა“. იგი ნების გამოვლენის ადრესატთან მისვლით გამოწვეული სამართლებრივი შედეგის თვიდან აცილების შესაძლებლობაა. ამასთან აუცილებელია ნების გამოთხოვა ადრესატს მიუვიდეს ნების გამოვლენის მისვლამდე ან მასთან ერთად.

ბათილობა და ნამდვილობის შემაფერხებელ გარემოებებთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი შედეგები

ინდივიდის მოქმედებს თავისუფლება იზღუდება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი ან სხვა პირთა ინტერესების განსახორციელებლად. მოქმედების ფარგლების ასეთი დაკონკრეტების მიზანია არასამართლიანი შედეგებისაგან ცალკეული ინდივიდისა და, ზოგადად, სამართლებრივი წესრიგის დაცვა. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას სავინი სამ კომპონენტს გამოყოფს: ნებას, მის გამოვლენას და მათ ურთიერთშესაბამისობას. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას.

ნამდვილობის შემაფერხებელია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითვ ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. შესაბამისად, გარიგების ნამდვილობასა თუ არანამდვილობაზე საუბარი დასაშვებია მხოლოდ მისი გარეგნული გამოხატულების არსებობისას. სსკ-ში ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები სისტემატიზირებულია მათთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. ბათილობის საფუძვლების განმსაზღვრელი ნორმები სსკ-ის 54-ე-59-ე 1-ელ მუხლებშია მოწესრიგებული, ხოლო საცილობისა სსკ-ის 72-ე-89-ე მუხლებში. გარდა ამისა, სსკ-ის 63-ე 1-ელი და 111-ე 1-ელ მუხლებში უშუალოდ არის გათვალისწინებული მერყევად ბათილობის მომწესრიგებელი ნორმები.

ბათილობა

ბათილი გარიგება ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს მისია რსებობის ვერცერთ ეტაპზე. გარიგება ბათილია, ხოლო შედეგი, რომელიც მისგან უნდა გამომდინარეობდეს, ითვლება არადადგარად. ბათილობისას ნების გამოვლენის არანამდვილობას განაპირობებს შემადგენლობის ისეთი არსებითი და გამოუსწორებელი ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის სამართლებრივი შედეგის დადგომას. / ამ ანწილში შეგნებულად თავს ვარიდებთ არარა ბათილობაზე საუბარს / აღსანიშნავია, რომ ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, ნების გამოვლენის შედეგების ბათილად გამოცხადება უკიდურესი ზომაა და იგი მხოლოდ მაშინ დგება, თუ უალტერნატივოა. სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც კონვრესიის, ისე ნაწილობრივი ბათილობის ინსტიტუტი.

მართლსაწინააღმდეგო ნების გამოვლენა

სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

მხედველობაშია მისაღები, რომ გარიგების ბათილობა, ჩვეულებრივ, გამომდინარეობს არა სსკ-ის 54-ე მუხლიდან არამედ უშუალოდ შესაბამისი სპეციალური ნორმიდან თუ მისი სათანადოდ განმარტებიდან. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე სსკ-ის 54-ე მუხლს არ შეუძლია გავლენის მოხდენა და ამიტომ მისი არსებობის მიზანშეწონილობა სათუოა.

სსკ-ის 54-ე მუხლით ბათილად ცხადდება ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება. ამ სახით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ დაგინდება სამართლებრივი წესრიგისა და ზნეობრივი წესრიგის გამიჯვნა. ამასთან, ძნელად წარმოსადგენილია არსებობდეს ზნეობის ნორმიდან მომდინარე საყოველთაოდ გაზიარებული ქცევის წესი, რომელიც კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს. უფრო მეტად გასაზიარებელია შეხედულება, რომლის თანახმადაც ზნეობის ნორმებზე მითითებით არა შეფასებითი ჰორიზონტის გაფართოება, არამედ უშუალოდ სამართლებრივ სისტემაში არსებულ შესაბამის ფასეულობებზე მითითება ხდება. ამ სახით კონსტიტუციით განმტკიცებული გასეულობათა სისტემა ზემოქმედებს კერძო სამართალზე.

კონვერსია

კონვერსიის მომწესრიგებელი სსკ მე-60 მუხლის შესაბამისად, თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათულობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. კონვერსიის შედეგად გარიგება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ ის, თავის მხრივ, დააკმაყოფილებს ნამდვილობის წინაპირობებს. ამასთან, კონვერსიის შედეგად დაუშვებელია წარმოიშვას უფრო ფართო სამართლებრივი შედეგი, ვიდრე ეს თავდაპირველი, ბათილი ნების გამოვლენით იყო გათვალისწინებული. მიუღებელია, მაგალითად, ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შეცვლილად კონვერსია.

ნაწილობრივი ბათილობა

სსკ-ის 62-ე მუხლით მოწესრიგებულია გარიგების ნაწილის ბათილობა. ეს ის შემთხვევაა, როცა ბათილობის საფუძველი მიმართულია ნების გამოვლენის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე. გადაწყვეტია ის, რომ ბათილი ნაწილის გარეშე გარიგებას შესწევს უნარი, წარმოშვას სამართლებრივი შედეგი. ამასთან, ეს შედეგი იმდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ მისი მიღწევა ნების გამომვლენისათვის სასურველად ჩაითვალოს. შესაბამისად, სამართლებრივი წესრიგით უარყოფილია ნების გამოვლენის შედეგების მხოლოდ ის ნაწილი, რომლის შენარჩუნებაც შეუძლებელია გამოსწორებელი ხარვეზის გამო. (იხ. სსკ 62)

საცილობა

სსკ-ის 59-ე მე-2 1 მუხლის თანახმად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებულ იქნება. ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას. საცილო გარიგება დადების მომენტიდან ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში, შესაბამისად, დადების მომენტში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა. აღსანიშნავია, რომ შეცილება სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით მხოლოდ მაშინ ჩაითვალოს სავალდებულოდ, თუ კანონი ამას უშუალოდ გაითვალისწინებს. საცილობის საფუძვლებია: შეცდომა, მოტყუება, ფსიქიკური იძულება.

შეცილების უფლება

ინდივიდთა ურთიერთობების ნებისმიერი წარმართვის სამართლებრივი აღიარება ემყარება ვარაუდს, რომ ობიექტურად შეცნობადად გაცხადებული ნება სუბიექტური ნების შესაბამისია. ნების გამოვლენა უნდა

ემყარებოდა გარემოებათა სწორ შეფასებას და თავისუფალი იყოს ყოველგვარი დაუშვებელი ზემოქმედებისგან (მოტყუება, ფსიქიკური იძულება)

ინდივიდისთვის მინიჭებული შეცილების უფლება სამართლებრივი წესრიგით აღიარებული ინსტიტუტია, რომლითაც მას ენიჭება შესაძლებლობა, თავისი გამოვლენა ნების გარეშე თავისი შემდგომი ნების გამოვლენით იურიდიული ძალი არმქონედ აქციოს. საცილობის თავისებურება ისაა, რომ შეცილების საფუძვლის არსებობის მიუხედავად, გარიგება თავდაპირველად ნამდვილია. იმ შემთხვევაში, თუ შეცილების უფლების მქონე პირი ამ უფლებას არ გამოიყენებს, ის შემდგომშიც ნამდვილი დარჩება. ხოლო თუ შეცილების უფლების მქონე პირი შესაბამის სამართლებრივ შედეგზე მიმართულ ნებას გამოავლენს, გარიგება დადების მომენტიდან ბათილად ჩაითვლება. სსკ-ში საცილობის საფუძვლები გარიგებებისათვის დათმობილ მე-4 თავში, სსკ-ის 72-ე და შემდგომ მუხლებში წესრიგდება. შეცილების განხორციელებას ეთმობა სსკ-ის 59 მე-2, მე-3 მუხლი, ხოლო საცილო გარიგების დადასტურებას - სსკ-ის 61 მე-3 მუხლი.

შეცილების უფლება სსკ-ის 59 მე-3 მუხლის თანახმად, აქვს დაინტერესებულ პირს. ამ ზოგად ფორმულირებას მნიშვნელოვანი დაკონკრეტება თუ დაზუსტება სჭირდება. ასეთ პირად საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა გარიგების მონაწილე და მესამე პირი, რომლის ინტერესებიც ილახება გარიგებით. დაინტერესებული პირის ასეთი განმარტება არ არის საკმარისად ზუსტი, ვინაიდან იგი შეცილების ინსტიტუტის არსს ნაკლებად წარმოაჩენს.

შეცილების უფლება აქვს ნების გამომვლენს, ანუ უშუალოდ მას, ვინც საცილო ნება გამოავლინა. სწორედ ამ პირის ნების გამოვლენა განსხვავდება მისი ჭეშმარიტი ნებისგან და მას აქვს უფლება, თავისი არარსებული ნება იურიდიული ძალის არმქონედ აქციოს.

გამონაკლისი მოქმედებს წარმომადგენლობის შემთხვევაში, როდესაც შეცილების უფლება ენიჭება მას, ვისაც შესაბამისი გარიგებიდან უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა, ანუ წარმოდგენილ პირს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილ პირს აქვს შეცილების უფლება იმ ნების გამოვლენის გამო, რომელიც არა მან, არამედ მისმა წარმომადგენელმა გამოავლინა. შესაბამისად, სამართლებრივი შედეგისთვის გადამწყვეტია სწორედ ამ უკანასკნელის ნების გამოვლენის ნაკლი.

სსკ-ის 59 მე-2 ე მუხლის თანახმად, შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. ასეთ ფორმულირებაში ნორმის აშკარა ხარვეზი ვლინდება. "ხელშეკრულების მეორე მხარის" მითითება, მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამორიცხავს შეცილების ინსტიტუტის გავრცელებას ცალმხრივ ნების გამოვლენაზე. საე. იურიდიულ ლიტერატურაში არის ამ ფორმულირების ფართოდ განმარტების მცდელობა, რათა ხელშეკრულების მეორე მხარის გარდა შეცილების ადრესატი იყოს ყოველი მესამე პირი, რომელმაც სარგებელი ნახა ამ გარიგებიდან.

წარმომადგენლობისა და უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში აუცილებელია, ნების გამოვლენის ადრესატი შესაბამისი დაკონკრეტებით განიმარტოს. მაგალითად, თუ ნების გამოვლენა წარმომადგენლის მიმართ განხორციელდა, ნების გამოვლენის ადრესატად უნდა ჩაითვალოს წარმოდგენილი პირი. სწორედ ის არის ნების გამოვლენის თუ შესაბამისი შედეგების საბოლოო ადრესატი. ანალოგიური მიდგომაა დასამკვიდრებელი, თუ ნების გამოვლენის თავდაპირველი ადრესატი ადგილს მიის უფლებამონაცვლე იკავებდა. ცხადია, ამ დროს შეცილება უფლებამონაცვლის მიმართ უნდა განხორციელდეს.

ნების გამოვლენის ადრესატის მიმართ შეცილება ვერ განხორციელდება ცალმხრივი არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში. ასეთი ნების გამოვლენის შეცილების ადრესატია ის, ვინც ამ ნების გამოვლენით სამართლებრივ სარგებელს იღებს. ეს შემთხვევა ცალკე მოწესრიგების საგანი უნდა გახდეს და დაკონკრეტდეს, რომ არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში ადრესატი სამართლებრივი სარგებლის მიმღები პირია.

მერყევად ბათილობა

ცალკეული ნების გამოვლენის ნამდვილობა დამატებით კომპონენტზე - მოწონებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებული ნამდვილობის წინაპირობა არ არის შესრულებული, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მისი შესრულების და შესაბამისად, ნების გამოვლენისა თუ გარიგების ნამდვილობის შესაძლებლობა. (იხ. სსკ 63, სსკ 111). მოწონებამდე მერყევად ბათილი ორმხრივი გარიგება არ არის ნამდვილი, მაგრამ იგი არც ბათილია. ეს მდგომარეობა შენარჩუნდება იმ დროის განმავლობაში, სანამ არსებობს ასეთი ნების გამოვლენისა თუ გარიგების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოების აღმოფხვრის შანსი და ეს ნების გამოვლენის ადრესატის ინტერესებს არ აყენებს შეუსაბამო ზიანს.

დამატება: ნამდვილია მხოლოდ იმ პირის მიერ გამოვლენილი ნება, რომელსაც აქვს საკუთარი ქცევის ნებისმიერი მართვისა და მისი შედეგის გააზრების უნარი. "გარიგებაუნარიანობა" ნამდვილი გარიგების დადების, ანუ სამართლებრივი შედეგების გამომწვევი ნების გამოვლენის, უნარია. სსკ-ში გარიგებაუნარიანობა ქმედუნარიანობის ზოგადი ცნებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ფარგლებში ექცევა. შესაბამისად, იგი 18 წლის ასაკის მიღწევასა და ადეკვატურ გონებრივ შესაძლებლობებსა თუ ფსიქიკურ მდგომარეობას უკავშირდება. სრულ გარიგებაუნარიან პირთან თანაბრდება ქორწინების გამო ემანსიპირებული არასრულწლოვანიც. შეზღუდული ქმედუნარიანობისა თუ გარიგებაუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობა, როგორც წესი, დამოკიდებულია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე. ამასთან, არსებობს გამონაკლისის შემთხვევები, როცა სამართლებრივი შედეგი დგება შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მიერ დადებულ გარიგებაზე წარმომადგენლის თანხმობის მიუხედავად. ესენია - უფლებრივი სარგებელი, ნებადართული სახსრების განკარგვა და წვრილმანი ყოფითი გარიგებები. გარდა ამისა, შესაძლებელია, შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირი ზოგადად გათანაბრებული იყოს სრული გარიგებაუნარიანობის მქონე პირთან ცალკეული სფეროში გარიგებების დადების თვალსაზრისით, ანუ მოხდეს მისი ნაწილობრივი ემანსიპაცია. (იხ. სსკ 12 და შემდგომი მუხლები და აგრეთვე სსკ 63-67) და ბოლოს, 63-ე და მე-15 მუხლების შედარება იძლევა დასკვნას, რომ სსკ-ის 63-ე 1-ელი მუხლი, მისი შინაარსის სსკ-ის მე-1 მუხლთან იდენტურობის მიხედვად, შესაძლებელია, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, განსხვავებულად განიმარტოს. იგი გარიგების ნამდვილობას კანონიერი წარმომადგენლის შემდგომ თანხმობას, მოწონებას უკავშირებს. მოწონებამდე გარიგება არ არის ნამდვილი, ვინაიდან არ არის შესრულებული ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობა. ამავე დროს, ასეთი ორმხრივი გარიგება არც ბათილი არ არის, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობს მისი ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოების აღმოფხვრის შანსი.

ნების გამოვლენის გამოთხოვა მერყევად ბათილ გარიგებაში

სსკ-ის 64-ე მუხლით წესრიგდება მერყევად ბათილი ხელშეკრულების შემთხვევაში შეზღუდული გარიგებაუნარიანი პირის კონტრაქტის უარი. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, სჯობს გამოვიყენოთ "ნების გამოვლენის გამოთხოვა". ამ დროს ჯერ არ არის დასრულებული გარიგების დადების პროცესი და შესაბამისად, დასაშვებია, დასრულებულად არ იქნეს მიჩნეული გარიგების კონტრაქტის ნების ფორმირების პროცესიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდს ექნებოდა სამართლებრივი შესაძლებლობა, აღეკვეთა მის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობა გამოთხოვის საშუალებით, როგორც ეს ზოგადად მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობასთან დაკავშირებით არის დაშვებული.

უფლებრივი სარგებელი

სსკ-ის 63-ე 1-ელ მუხლში სსკ-ის მე-15 მუხლის დებულება გამეორებულია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის სავალდებულობიდან გამონაკლისის განსაზღვრის ნაწილშიც. ამ შემთხვევაში დგება უფლებრივი სარგებელი და ასეთი გარიგებისათვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის სავალდებულობის განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი. საფრთხე, რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში მომდინარეობდეს, არ არის გასაზიარებელი

არგუმენტი. რაც შეეხება, არასასურველი მოხმარებისა თუ განადგურების რისკს, იგი შესაძლებელია მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე განაწილდეს. შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირის საკუთარი მოქმედების შედეგებისა და გარემოებების შეცნობისა და შეფასების უნარის განვითარების დონე შედარდება მისთვის გადაცემული ქონების ღირებულებასა თუ სხვა მახასიათებელთან. შედეგად, ქონების დაღუპვის რისკიც პროპორციულად გადანაწილდება. (აგრეთვე, იხ. სსკ 190 1-ელი)

ნებადართული სახსრების განკარგვა

სსკ-ის 65 1-ელი მუხლის თანახმად, ნამდვილია გარიგება, რომლითაც შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირი განკარგავს მისთვის ამ მიზნით ან თავისუფალი განკარგვის მიზნით გადაცემულ სახსრებს. სახსრების გადაცემა ამ მიზნით თუ თავისუფლად განსაკარგავად ან უშუალოდ შესაბამისი გარიგების დადებაზე მიცემული თანხმობაა, ან სულ მცირე, იმის გაცხადება, რომ კანონიერი წარმომადგენელი უშვებს შესაბამისი შედეგის დადგომას ("თავისუფალი განკარგვის მიზნით"). პირობითობა ვლინდება ზუსტად იმ საშუალებების განკარგვაში, რომლებიც გადაეცა შეზღუდულგარიგებაუნარიან პირს. შესაბამისად, ასეთი პირის მიერ გამოვლენილი ნება თუ დადებული გარიგება ნამდვილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოშობილ ივალდებულების შესასრულებლად პირი გამოიყენებს მისთვის "ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვით მიზნით" გადაცემულ სახსრებს.

ამ მომენტიდან გარიგება მერყევად ბათილია და ის კანონიერი წარმომადგენლის უპირობო თანხმობაზე ან შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირის მიერ პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. გაითვალისწინეთ : თანხმობა გარიგების დადებაზე ავტომატურად არ ვრცელდება შემდგომ გარიგებებზე. გაადმწყვეტია კანონიერი წარმომადგენლის სავარაუდო ნების დადგენა. შესაბამისად, "თავისუფალი განკარგვის მიზნით" გადაცემული თანხით ნაყიდი ლატარიის ბილეთის შესახებ დადებული ხელშეკრულება ნამდვილი იქნება, მაგრამ მოგებული თანხით ავტომატურად ნასყიდობა კი არა ! ამის საპირისპიროდ, ნამდვილია თვისებრივად ერთგვაროვანი და ფასის თვალსაზრისით არსებითად იდენტური შემდგომი გარიგებაც. არ არსებობს საფუძველი, თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა გადაცემული თანხით ნაყიდი ხილის სხვა ხილზე გაცვლის შემთხვევაზე.

წვრილმანი ყოფითი გარიგებები

ნებადართული სახსრების განკარგვისგან იმიჯნება "წვრილმანი ყოფითი გარიგებები", რომლებსაც ერთგვაროვნად აქესრიგებენ პოსტსაბჭოური სახელმწიფოების კოდიფიკაციები. არსებითად ამ მოწესრიგების მიზანია, შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირისათვის ისეთი გარიგებების დადების უფლების მინიჭება, რომლითაც იგი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დაიკმაყოფილებს თავის ყოველდღიურ "ყოფით" მოთხოვნილებებს. შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც გარიგება არ ექცევა არ ცუფლებრივი სარგებლის და არც ნებადართული სახსრების განკარგვის სქემაში, მაგრამ მაინც მიზანშეწონილია მისი ნამდვილად გამოცხადება. მაგალითად, ინდივიდი ყიდულობს კანფეტს თავის მიერ ნაპოვნი 50-თეთრიანით. უფლებრივი სარგებელი გმაოირიცხა, ვინაიდან დადებულია ორმხრივი მავალდებულებელი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნებადართული სახსრების განკარგვის კონსტრუქცია ასევე არ მოქმედებს სახსრების განკარგვაზე ნებართვის არარსებობის გამო. სამართლებრივი წესრიგის მიზანია შეზღუდული გარიგებაუნარიანობის მქონე პირის ინტერესების დაცვა და ამავე დროს, მისი კონტრაქტის ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება. დაუშვებელია, სამართალი ქმნიდეს ამ ინტერესების რეალიზებისას ხელოვნურ ბარიერს. შესაბამისად, საქართველოს სამართალში "წვრილმანი ყოფითი გარიგებების" ნამდვილობა შესაძლებელია წარმოებულ იქნეს ასეთ გარიგებებზე კანონიერი წარმომადგენლის "ზოგადი" თანხმობის სამართლებრივი აღიარებით ან სსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისი განმარტებით. სასამართლო გადაწყვეტილებით,

შეზღუდული ქმედუნარიანობის ზოგადი სტანდარტის ფარგლებში ინდივიდი მოექცევა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით განპირობებულ შემთხვევებში. ანალოგიურად, სასამართლო არ იქნება შებოჭილი, გამოაცხადოს პირი შეზღუდულქმედუნარიანად, თუ მისი ინტერესების დაცვის უკეთესი ალტერნატივა არსებობს. ცალსახაა, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის ერთადერთი მიზანი არის თავად ინდივიდის დაცვა. არ შეიძლება ეს იქცეს მასზე სხვა პირთა ზემოქმედების ზომად, ერთგვარ სანქციად.

ნაწილობრივი ემანსპაცია

ნაწილობრივი ემანსპაცია სრულისგან იმით განსხვავდება, რომ თექვსმეტ წელს მიღწეული არასრულწლოვანი თანაბრდება სრული ქმედუნარიანობის პირთან მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ სფეროში. სსკ-ის 65 მე-2 მუხლი უშუალოდ მიუთითებს ”საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებაზე” და პირის გარიგებაუნარიანობის გაფართოებას უკავშირებს ”ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებს”. ამასთან, კანონმდებელი სსკ-ის 65 მე-2 2 მუხლში აზუსტებს, რომ „ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციის და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც”. ასეთი მოწესრიგების მიზანია, შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირის თანდათანობითი ჩართვა ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებშიც მას დამოუკიდებელი მოქმედება შეუძლია. მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი ასაკისა, სასურველია, ასაკობრივი ზღვარი არ იქცეს შეზღუდულგარიგებაუნარიანი პირის მიერ შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგების დადების ბარიერად.

ნების გამოვლენის სამართლებრივ-ტექნიკური ფორმა

ფორმა ნების გამოვლენის გაცხადების საშუალებაა. ამ თვალსაზრისით, ყოველ ნების გამოვლენას აქვს თავისი გარეგანი გამოხატულება - ფორმა. სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით, ფორმა ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობად მაშინ იქცევა, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ნების გამოვლენის კონკრეტული გარეგნული გამოხატულება მიიჩნევა მისი არსებობის დამადასტურებელ გარემოებად.

ნების გამოვლენის ფორმის მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობაში გარიგებების შესახებ მოძღვრების მესამე თავში ხორციელდება. სსკ 68 (1) მუხლის თანახმად გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელია კანონით დადგენილი ფორმის დაცვა ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გარიგებისთვის კანონით არ არის განსაზღვრული სპეციალური ფორმა, სსკ-ის 68 (2) მუხლით დეკლარირებულია მხარეთა უფლებამოსილება - თავად განსაზღვრონ იგი. ეს ფორმულირება ფორმის თავისუფლების პრინციპის აღიარებად უნდა ჩაითვალოს.

სავალდებულო ფორმა, ამ სიტყვის სამართლებრივ-ტექნიკური გაგებით, ნების გამოვლენას უნდა ჰქონდეს, რათა მან შესაბამისი სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს. თუ არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული ფორმა, ნების გამოვლენა არ არსებობს. გარიგებაში უნდა იყოს ერთი, ორი ან რამდენიმე პირის ნების გამოვლენა, ანუ უნდა მოხდეს მასში მონაწილე მხარეთა გაერთიანებული ნების კანონით სავალდებულოდ მიჩნეული სახით ფორმირება. შესაბამისად, ლოგიკურია, ფორმის მოხოვნები დაუკავშირდეს ნების გამოვლენას და არა გარიგებას. კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ეხება მხოლოდ ნების გამოვლენას. შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია იმ ფორმის დაცვა, რაც დადგენილია შესაბამისი ნების გამოვლენისათვის. უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებელი იცნობს შემთხვევებს, როცა ფორმის დაცვა სავალდებულოა გარიგებაში მონაწილე მხოლოდ 1 პირის ნების გამოვლენისათვის. მაგალითად იხილეთ, სსკ 525 მე-3. სსკ 892 1-ელი. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობასა თუ, ზოგადად, სამართალში სწორედ ნების გამოვლენის ფორმის შესახებ საუბარი.

ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის შეიძლება აუცილებელი იყოს მისი ფორმის დაცვა, თუ ეს არის კანონით გათვალისწინებული ან მხარეთა მიერ შეთანხმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს ფორმის

თავისუფლების პრინციპი. ნება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ზეპირად, არამედ მოქმედებიდან აღქმადად, ანუ კონკლუდენტურად. იხ. სსკ 68.

ფორმა არ არის თვითმიზანი, არამედ სხვადასხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა და განპირობებულია ამ მიზნებით. არსებობს ფორმის მიზნების ჩამოყალიბების არაერთი საყურადღებო მცდელობა, რომელთა მნიშვნელობა სწორედ ცალკეული მიზნის მიღწევისას ფორმის დაცვის აუცილებლობას განაპირობებს. ან, პირიქით, მაჩვენებელია იმისა, რომ ფორმის დაცვაზე შესაძლებელია უარი ითქვას, თუ ამ მიზნების მიღწევა ინდივიდთა ან სამართლებრივი წესრიგის მიერ სხვაგვარადაც იქნება შესაძლებელი. საქართველოს სამართალშიც, სხვა ქვეყნების კოდიფიკაციების მსგავსად, მიზანშეწონილია ფორმის მიზნების დაკავშირება ფორმისდაუცველობის სამართლებრივ შედეგებთან. არ არის სასურველი, ყველა ფორმისდაუცველი ნების გამოვლენა თუ გარიგება ავტომატურად ბათილად გამოცხადდეს. ზოგადად, ნებისმიერი სავალდებულო ფორმის დადგენა მხარეთა ინტერესებით არის განპირობებული და ემსახურება მათ მიერ სამართლებრივი შედეგების გამომწვევი ნების ფორმირებისა და მისი ადეკვატურად გაცხადების მიზანს.

სსკ-ის 69-ს მუხლით მოწესრიგებულია მარტივი წერილობითი ფორმა და სანოტარო წესით დამოწმება. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით სწორედ ეს ფორმები განეკუთვნება კანონით გათვალისწინებულ ტექნიკურ ფორმებს. ნების გამოვლენა ზეპირად ან კონკლუდენტურად, უკვე ექცევა ფორმის თავისუფლების ფარგლებში.

წერილობითი ფორმა - იმ შემთხვევაში, თუ კანონის მოთხოვნაა ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება, მაშინ სსკ-ის 69-ე 1-ელი მუხლის შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგების მოაწილე მხარეთა ხელმოწერა. პირმა თავისი ხელით, თავისი სახელით უნდა მოაწეროს ხელი და გარდა ამისა, არაფერი არ არის გასათვალისწინებელი, არც ტექსტის განსაკუთრებული ფორმით შედგენა, შედგენის ენა, თარიღის და ადგილის მითითება და ა.შ. მთავარია ხელმოწერა. მხედველობაშია მისაღები, სსკ 69 მე-2 მუხლის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, მექანიკური საშუალებით ხელმოწერის აღდგენა განმეორება ან აღბეჭდვა მხოლოდ გამოწვევის სახით არის დაშვებული. ეს შემთხვევა მუხლშივეა დარეგულირებული.

სიცხადისა და მტკიცების ფუნქციიდან გამომდინარე, ხელის მოწერა უნდა მოხდეს იმ სახელით, რომელიც ინდივიდის ვინაობას შუცდომლად წარმოაჩენს. საკმარისია ამისთვის, გვარით ხელმოწერა, ან ფსევდონიმით. დასაშვებია აგრეთვე, ინიციალების გამოყენებაც.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ ნების გამოვლენის ტექსტი უნდა ქმნიდეს ერთ მთლიანობას. იმ შემთხვევაში, როცა ნების გამოვლენა რამდენიმე ნაწილისა თუ დოკუმენტისგან შედგება, უნდა არსებობდეს ისეთი გარემოებები, რაც ტექსტის ერთიანობას უდავოს ხდის. ასეთია, მაგალითად, გვერდების და აბზაცების ნუმერაცია და სხვ. (აგრეთვე იხილიეთ სსკ 71)

წარმომადგენლის ხელმოწერა - სპეციალური წესები მოქმედებს წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემთხვევაში. როგორც წესი, მან ხელი უნდა მოაწეროს თავისი სახელით, ანუ გამოიყენოს თავისი ხელმოწერა. ამასთან, მისი სხვისი სახელით მოქმედების შეცნობადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტის შინაარსით, ან ხელმოწერის ადგილას გაკეთებული აღნიშვნით. იხილეთ - სსკ 70.

საჯარო დადასტურება და ნოტარიული დამოწმება - საჯარო დადასტურებასა და ნოტარიულ დამოწმებას შორის მკაფიო გამიჯვნა საბჭოთა და პოსტსაბჭოური სახელმწიფოების სამართლისთვის არ არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი ასეთი გამიჯვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

სსკ-ის 69 მე-3 მუხლში გამოიყენება ტერმინი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთან, კონკრეტდება, რომ დამოწმება უნდა განახორციელოს ნოტარიუსმა, მოსამართლემ ან კანონმდებლობით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. ასეთი მოწესრიგებით განისაზღვრება მხოლოდ შესაბამისი საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა წრე, რომელიც არ არის ამომწურავი. მისი შევსება ნოტარიატის შესახებ კანონის მუხლებით ხდება. დადასტურებისას ხდება მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ნოტარიუსის, ისე კანონით გათვალისწინებული სხვა პირის მიერ.

ამის საპირისპიროდ, ნების გამოვლენის დამოწმებას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ იგი შესაბამის დოკუმენტში მითითებულ პირთა შესაბამისი ნების გამოვლენის უშუალო მოწმეა, ანუ ახდენს მისი სრული შინაარსის დამოწმებას. აგრეთვე არსებობს მოლოდინი, რომ იგი მხარეებს მათი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმაციას, ერთგვარ რჩევას მისცემს. იგი ვალდებულია, იმასაც კი მიაქციოს ყურადღება, რომ თავიდან აირიდოს ნების გამომვლენთა შეცდომა, ნებისმიერი ორჭოფობა და არც ”გამოუცდელი მონაწილე დაიჩაგროს”

დაბოლოს, ნოტარიუსი დამოწმების ორი სახე შეიძლება გაიმიჯნოს: თანადროული დამოწმების დროს ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენა ერთდროულად მოწმდება; თანმიმდევრული დამოწმებისას შესაძლებელია ცალ-ცალკე დამომწმდეს, მაგალითად ოფერტი და აქცეპტი. ამასთან, შესაძლებელია, ეს მოქმედებები განხორციელდეს როგორც ერთი და იმავე, ისე სხვადასხვა ნოტარიუსის მიერ.

კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი ტექნიკური ფორმის დაუცველობის შედეგი - ბათილობა სსკ-ის 5 (1)-ელი მუხლში ბათილობის სხვა საფუძვლებთან ერთად ურთიერთკავშირშია გათვალისწინებული.

ნების გაცნობიერებული ნაკლი

ნამდვილობის შემაფერხებელი ერთ-ერთი გარემოებაა ნების გაცნობიერებული ნაკლი. ამ დროს გამოვლენილი ნება შეგნებულად განსხვავდება გამომვლენის ჭეშმარიტი ნებისგან, ან იგი საერთოდ არ არსებობს.იხ. სსკ 56 1-ელი. და სსკ 57. / *თავს ვარიდებთ გერმანულ ალტერნატივაზე საუბარს, თუმცა შეგიძლიათ, იხილოთ წიგნში, 306-ე გვერდიდან.* /

სსკ-ის 56 მე-2 მუხლი ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგებს იმ შემთხვევასთან მიმართებით, თუ მოსაძვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. ამ შემთხვევაში მოჩვენებითი გარიგების ადგილს იკავებს რეალურად ის გარიგება, რომლის დაფარვასაც მხარეები მიზნად ისახავენ. ეს შედეგი ლოგიკურია. არარსებული ნების ადგილს იკავებს მხარეთა ჭეშმარიტი ნება, მხარეების მიერ რეალურად გათვალისწინებული შედეგებით. ცხადია, სამართლებრივი შედეგები, თავის მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ ეს დაფარული გარიგება დააკმაყოფილებს შესაბამის ნამდვილობის წინაპირობებს.

მესამე პირის დაცვა - კონტინენტური ევროპის კოდიფიკაციების უმრავლესობას აერთიანებს საერთო ნიშანი. ისინი არ ითვალისწინებენ მესამე პირის დაცვას, რომელიც კეთილსინდისიერად ვარაუდობს, რომ მოჩვენებითი გარიგებიდან უფლებები შეიძინა. ბათილობა აბსოლუტურია და მოჩვენებითი გარიგების ბათილობის შედეგები ავტომატურად მოქმედებს მესამე პირის მიმართაც. შესაბამისად, კეთილსინდისიერი მესამე პირის დაცვა სპეციალური მოწესრიგების არარსებობის პირობებში კონკრეტული საქმის ვითარების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. მესამე პირის ნდობა დაცული უნდა იქნეს და შესაბამისად, მას ზიანის ანაზღაურების მვთხოვნა მიენიჭოს. მესამე პირის მიერ უფლებების შეძენის საკითხი კეთილსინდისიერი შემძენის კონსტრუქციის ქვეშ უნდა მოექცეს. შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული სსკ 185, 187 1-ელი მუხლები. (აგრეთვე იხ. სსკ 394, 316 მე-2, 317 მე-2, 8 მე-3)

კაზუსების ამოხსნის მაგალითები

კაზუსი, რომელიც ვწერეთ, თავისი ამოხსნის სქემით!

ანის, სკოლაში წასვლის წინ, დედა სახარჯავად გადასცემს 5 ლარს. გაკვეთილების შემდეგ, სახლისაკენ მიმავალი ანი, მშრალ ხიდთან თვალს მოჰკრავს ლამაზ სამაჯურს, რომელიც სულ რაღაც 4 ლარი ღირს. ანის ახსენდება, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუხარჯავს თავისი 5 ლარი და იგი დაუყოვნებლივ ყიდულობს სასურველ ნივთს.

გზაში ანის ახსენდება, რომ 2 დღეში მისი საუკეთესო მეგობრის დაბადების დღეა, რომელსაც იგი საყურის ჩუქებას დაჰპირდა. ფულის დაუფიქრებლად გაფლანგვის ფაქტით დამწუხრებული ანი გადაწყვეტს შეძენილი სამაჯურის მაღაზიაში ჩაბარებას და აღებული ფულით მეგობრისათვის შეპირებული საყურის ყიდვას.

მიზნის განსახორციელებლად ანი შედის სამკაულის მაღაზიაში და სთავაზობს სამაჯურის შესყიდვას. გამყიდველის ცნობით, მაღაზიას დრო ესაჭიროება სამაჯურის შესაფასებლად, რისთვისაც ანი სთხოვს მათ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება იმეილის საშუალებით შეატყობინონ.

შინ დაბრუნებულ ანის 16:00 საათზე მისდის მაღაზიის მეილი, რომელიც მას ატყობინებს, რომ მისი სამაჯური 2000 ლარად შეფასდა, ხოლო მაღაზია მზადყოფნას გამოთქვამდა უყოყმანოდ შეეძინა იგი 1800 ლარად. ანი აღფრთოვანებულია ესოდენ მომგებიანი წინადადებით და დაუყოვნებლივ აგზავნის თანხმობის მეილს მაღაზიასთან.

მეილის გაგზავნისთანავე გახარებული ანი მირბის დედასთან და დეტალურად უყვება მის თავგადასავალს. დედა გაოგნებულია მოსმენილით და თვლის რა, რომ 2000 ლარიანი სამაჯურის 1800 ლარად გაყიდვა გაუმართლებელია, დაუყოვნებლივ მოითხოვს ანისაგან ხელშეკრულების გაუქმებას.

დიდი ყოყმანის შემდეგ, ანი დილის 8 საათზე მეილს სწერს მაღაზიას და სთხოვს მას ყურადღება აღარ მიაქციოს ანის მიერ წინა დღით გაგზავნილ თანხმობის წერილს, ვინაიდან ანი აღარაა თანახმა გაყიდოს სამაჯური.

მაღაზია თვლის, რომ ანისთან გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმება უკვე გვიანია და უარს აცხადებს სამაჯურის მისთვის დაბრუნებაზე.

აქვს თუ არა მაღაზიას ანისაგან სამაჯურის მოთხოვნის უფლება?

ამოხსნა:

ჰიპოთეზა: მაღაზიას შესაძლებელია ჰქონდეს ანისაგან ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე **2 ქულა**

- ამ მოთხოვნისათვის, 477-ე მუხლიდან გამომდინარე ("ნასყიდობის ხელშეკრულებით"), საჭიროა არსებობდეს მხარეებს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, იგივე ორმხრივი გარიგება - სსკ 50-ე მუხლის შესაბამისად. **1 ქულა**

მსჯელობა (ამოხსნის ძირითადი ნაწილი):

1. ნების გამოვლენის არსებობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მისი სუბიექტური და ობიექტური კომპონენტები, ხოლო მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის (როგორც ამ შემთხვევაში არის ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნების გამოვლენა) მისი გაცხადება და მისვლა სსკ-ის 51-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად. **1 ქულა**

1.1 მაღაზიის მხრიდან ნების გამოვლენის არსებობა და ნამდვილობა არ არის სადავო (მეილილ გაგზავნილი შეთავაზება) **ბონუს ქულა**

1.2 შესაძლოა, თუ როდის გახდა ანის საპასუხო ნების გამოვლენა ნამდვილი სსკ-ის 51-ე მუხლის I ნაწილის თანახმად და ხომ არ არსებობს სსკ-ის 51-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული ნების გამოთხოვის წინაპირობები **1 ქულა**

1.2.1 ნების გამოვლენა, რომელიც გამოიხატა ანის საპასუხო მეილში, 51-ე მუხლის I ნაწილის თანახმად მისულად ჩაითვლება მას შემდეგ რაც ის მოექცევა მაღაზიის გავლენის სფეროში და მას რეალური შესაძლებლობა ექნება გაეცნოს მის შინაარსს. **+**

1.2.2 კაზუსიდან გამომდინარე, ანის მიერ დღის 4 საათზე მაღაზიისათვის გაგზავნილი საპასუხო ნების გამოვლენა მისულად უნდა ჩაითვალოს დაუყოვნებლივ, მეილის მისვლისთანავე, ვინაიდან სწორედ იმ მომენტიდან მოექცა იგი მაღაზიის გავლენის სფეროში და იმის გათვალისწინებით, რომ 4 საათი ჯერ კიდევ სამუშაო დროა, მაღაზიას შესაძლებლობა ჰქონდა დაუყოვნებლივ გასცნობოდა მის შინაარსს.

1 ქულა

1.2.3 არსებობს სსკ-ის 51-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ნების არსებობის შემაფერხებელი გარემოება შესაძლებელია იყოს მისი გამოთხოვა.

- იმისათვის, რომ ნების გამოთხოვა ნამდვილად ჩაითვალოს, იგი სსკ-ის 51-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, მეორე მხარეს უნდა მიუვიდეს პირველი ნების გამოვლენის მისვლამდე ან მისვლისთანავე. **1 ქულა**
- კაზუსიდან ირკვევა, რომ ნების გამოთხოვის თაობაზე წერილი ანიმ მაღაზიას გაუგზავნა მომდევნო დღის 8 საათზე. აღნიშნული ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება სამუშაო დღის დაწყებისთანავე. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ნების გამოვლენა ამ დროისათვის უკვე მიღებულია ადრესატის მიერ, მისი გამოთხოვა არ ჩაითვლება ნამდვილად. **1 ქულა**

შეაღწერილი დასკვნა: ორმხრივი ნების გამოვლენა სახეზეა, შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულება არსებობს. **1 ქულა**

2. ახლა ვამოწმებთ ხომ არ არსებობს ხელშეკრულების ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოებები

- 2.1 კაზუსიდან ირკვევა, რომ ანი სკოლის მოსწავლეა, შესაბამისად ივარაუდება, რომ იგი არასრულწლოვანია სსკ-ის მე-12 მუხლის შესაბამისად და სსკ მე-14 მუხლის I ნაწილის თანახმად - შეზღუდულქმედუნარიანი **1 ქულა**
- 2.2 სსკ მე-15 და 63-ე მუხლების შესაბამისად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი წარმომადგენლის თანხმობა - აღნიშნულიდან გამომდინარე, თანხმობის არარსებობის გამო ანისა და მალაზიას შორის დადებული გარიგება შეიძლება იყოს მერყევად ბათილი
- 2.3 აღნიშნული გარიგება მერყევად ბათილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები. გამონაკლისი შესაძლებელია იყოს 1. თანხმობა 2. წვრილმანი გარიგება 3. სარგებელი, 4. ჯიბის ფულის განკარგვა **1 ქულა**
- 2.3.1 როგორც კაზუსიდან ირკვევა ანის სამაჯურის გაყიდვასთან დაკავშირებით არ ჰქონია კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობა (სსკ მუხლი 15) **0.5 ქულა**
- 2.3.2 2000 ლარად შეფასებული სამაჯურის გაყიდვა არ შეიძლება ჩაითვალოს წვრილმან ყოფით გარიგებად მისი თავისებურებიდან გამომდინარე (სსკ 16.1 მუხლის განმარტება) **0.5 ქულა**
- 2.3.3 სსკ 63-ე მუხლის შესაბამისად ვამოწმებთ ხომ არ მიუღია ანის გარიგებით სარგებელი - არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე "სარგებელი" გულისხმობს მხოლოდ უფლებრივ სარგებელს (მან გარიგების შედეგად უნდა მიიღოს უფლებები და არანაირი ვალდებულებები), რაც კაზუსში სახეზე არ არის, ვინაიდან ანის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეკისრება ნივთის გადაცემის ვალდებულება. **1 ქულა**
- 2.3.4 ახლა ვამოწმებთ სახეზეა თუ არა სსკ 65-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული თავისუფალი განკარგვის მიზნით გადაცემული ჯიბის ფულის განკარგვა:
- 2.3.4.1 სსკ-ის 65-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თანხა გადაცემული უნდა იყოს 1. კანონიერი წარმომადგენლის მიერ **ან** მისი თანხმობით სხვა პირის მიერ **და** 2. თავისუფალი განკარგვის მიზნით **1 ქულა**
- 2.3.4.2 შეძენილი სამაჯური არ იყო მშობლებისაგან ან მათი თანხმობით მესამე პირებისაგან თავისუფალი განკარგვის მიზნით უშუალოდ გადაცემული, თუმცა მასზე შეიძლება გავრცელებულიყო სსკ 65-ე მუხლის I ნაწილის მოქმედების სფერო, თუ დამტკიცდება, რომ ეს ნივთი ანიმ მოიპოვა თავისუფალი განკარგვისათვის გადაცემული სახსრების გამოყენების შედეგად და მშობლების ნების განმარტების საფუძველზე "თავისუფალი განკარგვა" შესაძლებელია შეძენილზეც გავრცელდეს, მისი ღირებულების ადეკვატურობის შემთხვევაში. **1 ქულა**
- 2.3.4.3 შესაბამისად, უნდა შევამოწმოთ დედისაგან მიღებული 5 ლარი წარმომადგენდა თუ არა ჯიბის ფულს. როგორც კაზუსიდან ირკვევა, დედამ, რომელიც ანის კანონიერი წარმომადგენელია (სსკ 1198), 5 ლარი ანის გადასცა თავისუფალი განკარგვისათვის. შესაბამისად იგი სრულად აკმაყოფილებს ე.წ "ჯიბის ფულის" კრიტერიუმებს. **1 ქულა**
- 2.3.4.4 კაზუსიდან ასევე ირკვევა, რომ სამაჯურის შეძენა მოხდა სწორედ აღნიშნული თანხის განკარგვით. შესაბამისად, სამაჯურის განკარგვაზე შესაძლებელია გავრცელდეს "ჯიბის ფულის" მსგავსი რეჟიმი. ამის წინაპირობაა ფასში ცვალებადობის არარსებობა. **1 ქულა**
- 2.3.4.5 კაზუსიდან ირკვევა, რომ 4 ლარად შეძენილი ნივთი გაცილებით დიდი ღირებულებისაა - 2000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე აღარ ივარაუდება

მშობლის თანხმობა ნივთის თავისუფალ განკარგვაზე რის გამოც სამაჯურის განკარგვის გარიგება არ ექცევა სსკ-ის 65-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ გამონაკლისში. **1 ქულა**

შუალედური დასკვნა:

- არცერთი გამონაკლისი სახეზე არ არის, შესაბამისად ანისა და მაღაზიას შორის დადებული გარიგება მერყევად ბათილია.
- კაზუსის თანახმად, მშობლის მიერ არ მომხდარა გარიგების მოწონება სსკ-ის 63-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად. შესაბამისად, ანისა და მაღაზიას შორის დადებული გარიგება ითვლება ბათილად. **1 ქულა**

დასკვნა: არ არსებობს სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები რის გამოც მაღაზიას არ აქვს ანისაგან ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება. **1 ქულა**

კაზუსის ამოხსნა მეორე მაგალითი, რომლის მსგავსსაც სავარაუდოდ ახლა დავწერთ!

ნახატების კოლექციონერი მარი ფინანსური პრობლემების გამო გადაწყვეტს გუდიაშვილის კოლექციის გასხვისებას. ამ მიზნით იგი დაამზადებს ნახატების კატალოგს. ნახატების კოლექციონერი ბექა კატალოგის დათვალიერებისას განსაკუთრებით დაინტერესდება ნახატით სახელწოდებით "ჩუქურთმა წითელი ქუდით" იგი ავალებს მის თანაშემწე ნიკას გაემგზავროს მარისთან და შეუძინოს მას ეს ნივთი. ნახატის უკეთ ამოცნობისათვის ბექა ნიკას ატანს კატალოგს.

ნიკა მიდის მარისთან და კითხულობს ნახატს, რომელსაც სახელწოდებაში ჩუქურთმა ურევია. მარი შეიყვანს ნიკას დარბაზში სადაც ბევრი ჩუქურთმას პორტრეტია გამოფენილი. ნიკა კიდევ ერთხელ გადახედავს კატალოგს და კედლიდან აირჩევს ჩუქურთმას ერთ-ერთ პორტრეტს, რომელსაც იგი მიიჩნევს, რომ არის სწორედ "ჩუქურთმა წითელი ქუდით". ნიკა, ბექას დავალების შესაბამისად, ნახატში მარის შესთავაზებს 110 000 ლარს. მარიც დაეთანხმება და გახარებული ნიკა წაიღებს ნახატს ბექასთან.

მოლოდინით აღსავსე ბექა აღმოაჩენს, რომ ეს სრულიად სხვა ნახატია და ნახატის დაბრუნების მოთხოვნით სასწრაფოდ უკავშირდება მარის. მარი კი ატყობინებს, რომ მან 5 წუთით ადრე უთხრა უარი სხვა კლიენტს ამ ნახატის მიყიდვაზე და რომ ვინაიდან მათ შორის უკვე დადებულია ხელშეკრულება იგი მოითხოვს თანხის გადახდას ან ზიანის ანაზღაურებას.

რა მოთხოვნის უფლება აქვს მარის ბექასგან?

ამოხსნა:

მარის შესაძლებელია ჰქონდეს ბენოსაგან 110 000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე.

- ამ მოთხოვნის არსებობის წინაპირობაა მხარეებს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, იგივე ორმხრივი გარიგება - სსკ 50-ე მუხლის შესაბამისად.

მსჯელობა (ამოხსნის ძირითადი ნაწილი):

- ნების გამოვლენის არსებობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მისი სუბიექტური და ობიექტური კომპონენტები, ხოლო მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის (როგორც ამ შემთხვევაში არის ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნების გამოვლენა) მისი გაცხადება და მისვლა სსკ-ის 51-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.
- გაცხადება არის ნებელობითი მოქმედება, რომლითაც პირი ისე მიმართავს ნების გამოვლენას ადრესატისაკენ, რომ მის საბოლოოობაში ეჭვი არავის ეპარება და სავარაუდოა მისი მისვლა. ბექა ავლენს ნებას ნახატის შეძენის თაობაზე და მას ნების გადამცემის- ნიკას მეშვეობით (განსხვავება ნების გადამცემსა და წარმომადგენელს შორის!) გადასცემს მარის. იგი ნების გამოვლენის გაცხადებას ახდენს ნიკასათვის დავალების მიცემით, ხოლო მისვლა ხორციელდება ნიკას მიერ ამ ნების მარისათვის შეტყობინებით. მარიც თავის მხრივ ავლენს ნებას ნახატის შეთავაზებულ ფასად გაყიდვის თაობაზე, რომელიც მისულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ნიკას რეალური შესაძლებლობა ექნება მარის გამოვლენილი ნება გადაეცა ბექასათვის. სავარაუდოდ ეს ხდება იმ მომენტში, როდესაც ნიკა დაბრუნდება სახლში. შესაბამისად ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა სახეზეა და ისინი ნამდვილია, ვინაიდან მისულია ადრესატებამდე.
- შუალედური დასკვნა: გარიგება არსებობს და ახლა შესამოწმებელია ხომ არ არსებობს მისი ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები. გარიგება შეიძლება დადების მომენტიდან გახდეს ბათილი სსკ-ის 59 II მუხლის საფუძველზე თუ მოხდება მისი შეცილება.
- შეცილების წინაპირობებია
 - შეცილების საფუძველი
პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა არსებობს თუ არა სსკ-ის 72-ე მუხლიდან გამომდინარე გარიგების შეცილების საფუძველი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბექას ნების გადაცემა მოხდა შუამავლის- ნიკას მიერ, სსკ-ის მე-80 მუხლიდან გამომდინარე კი გარიგება შესაძლებელია საცილო გახდეს შეცდომის შუამავლის მიერ დაშვების შემთხვევაშიც.
- სსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად გარიგების საცილობის წინაპირობაა ნების გამოვლენა "არსებითი შეცდომის" საფუძველზე.
- სსკ-ის მე-80 მუხლი კი უთითებს სსკ-ის 73-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს არსებითი შეცდომის სახეებს. სსკ-ის 73-ე მუხლის ა) ქვეპუნქტი არეგულირებს „გამოვლენის“ შეცდომის

სახეებს, როდესაც პირს სრულებითაც არ სურს გამოხატოს ის, რასაც გამოხატავს ე.წ. „შეცდომა ნების გამოხატვისას“. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირს სწორად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ნება, თუმცა არასწორად გამოხატავს მას. სსკ-ის 73-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტი არეგულირებს შეცდომას გარიგების შინაარსში, რომელიც ნების გამოვლენის განმარტების შედეგად დგინდება, კერძოდ ნების გამომვლენს მცდარი წარმოდგენა ექმნება გარკვეულ გარემოებებზე რაც იწვევს მისი ნების არასწორ ფორმირებას. პირს გამოხატვის შემდგომ, რომ ჰკითხოთ გამოხატავდა თუ არა ნებას ამავე ფორმით იგი, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, აუცილებლად თანხმობას განაცხადებდა. ესეთ დროს პირს სურს ის რასაც ავლენს, უბრალოდ ცდება მის შინაარსში.

- მოცემულ კაზუსში ბექა სწორად აფასებს ნახატთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას. მან ზუსტად იცის, რომ გუდიაშვილის ნახატის შემენა სურს და იმასაც აცნობიერებს თუ როგორ გამოიყურება პორტრეტი, შესაბამისად ბექას ნების ფორმირება არ მომხდარა შეცდომის საფუძველზე.
- რაც შეეხება ნების გამოვლენის ეტაპს, კაზუსიდან ცნობილი ხდება, რომ ბექას ნება შუამავლის მეშვეობით არასწორად გადაეცემა ნების მიმღებს. ნიკა შეცდომას უშვებს ნების გამოხატვისას ვინაიდან ირჩევს სასურველისაგან განსხვავებულ პორტრეტს. აღნიშნული კი სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს შეცდომას ნების გამოხატვისას. აღნიშნული შეცდომა უნდა ჩაითვალოს არსებითად, ვინაიდან სავარაუდოა, რომ მოცემული შინაარსით იგი საერთოდ არ დაიდებოდა და არ იქნებოდა მხარისათვის სასურველი.
- შუალედური დასკვნა: ვინაიდან მე-80 მუხლის და სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახეზეა არსებითი შეცდომა ნების გამოხატვისას, სსკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე ბექასა და მარის შორის დადებული გარიგება არის საცილო.
- შეცილების შემდგომი წინაპირობაა, **შეცილების გამომხატველი ნების გამოვლენა შეცილების უფლებამოსილების მქონე პირის** („დაინტერესებული პირი“ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად) **მიერ**, რომელიც სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მეორე მხარის მიმართ. მოცემულ კაზუსში ბექა ხელშეკრულების მხარეა, რომლის გამოხატული ნებაც არასწორად იქნა გადაცემული. შესაბამისად იგი წარმოადგენს დაინტერესებულ პირს.
- შეცილება არის ცალმხრივი ნების გამოვლენა (სსკ 50), რომელიც განმარტებულ უნდა იქნეს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე. მოცემულ კაზუსში ბექამ განაცხადა, რომ მას სურს ნახატის უკან დაბრუნება და არ ახსენა სიტყვა „შეცილება“, მაგრამ მისი ნება განმარტებულ უნდა იქნეს, როგორც შეცილება. შეცილება ასევე განხორციელდა მეორე მხარის მიმართ, რომელიც მას ასევე მიუვიდა და სსკ-ის 51 მუხლის I ნაწილის საფუძველზე ნამდვილი გახდა მისვლისთანავე.
- შეცილების ნამდვილობისთვის ასევე აუცილებელია იგი განხორციელდეს სსკ-ის 79-ე მუხლის I ნაწილით დადგენილ ვადაში, რომელიც უნდა იყოს შეცილების საფუძვლის (შეცდომის) შეტყობიდან ერთი თვეში. როგორც კაზუსიდან ირკვევა ბექამ გარიგება საცილო გახდა დაუყოვნებლივ, შესაბამისად დაცულ იქნა სსკ-ის 79-ე მუხლით დადგენილი შეცილების ვადა.
- შუალედური დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელდა გარიგების ნამდვილი შეცილება, რომელიც სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას მისი დადების მომენტიდან.

- დასკვნა: შესაბამისად სახეზე არ არის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება და მარის არ აქვს ბექასაგან ნახატის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე

2. მარის შესაძლებელია ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 79-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე

- აღნიშნული მოთხოვნის უფლებას აქვს შემდეგი წინაპირობები: გარიგება იყოს სსკ-ის 59-ე II, 72-ე (მე-80) მუხლების საფუძველზე შეცილებული, შეცილება შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით იქნეს გამოწვეული, ანაზღაურებადი ზიანი იყოს სახეზე და არ იყოს სსკ-ის 79-ე მუხლის II ნაწილის მე-2 წინადადებით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოება.
- ა) ნიკამ ნამდვილი შეცილება განახორციელა სსკ-ის 59-ე II, მე-80 და 73-ე ა) საფუძველზე. (იხილეთ ზემოთ)
- ბ) შეცდომა შეიძლება ჩაითვალოს შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით გამოწვეულად, ვინაიდან შუამავლის შერჩევის რისკს ატარებდა ბექა. ჰქონდა თუ არა ბექას (ნიკას) მხრიდან დაუდევრობას ადგილი მოცემულ შემთხვევაში სადავოა. (კაზუსიდან არ ჩანს თუ რამ გამოიწვია ნახატების არევა. შესაძლებელია ეს გამოეწვია ნახატების მსგავსებას იმ დონეზე, რომ საშუალო შესაძლებლობის მქონე პირისათვის რთული ყოფილიყო მათი გარჩევა. ასევე უცნობია თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოეკიდა ნიკა დავალების შესრულებას. შესაძლებელია შეცდომა გამოეწვია ბექას მხრიდან დაუდევრობას, რომელმაც არაკვალიფიციური კადრის შეარჩია ნახატის შესარჩევად.) თუმცა აღნიშნული ვარაუდის შესაძლებლობას არ იძლევა კაზუსში მოცემული გარემოებები.
- გ) სსკ-ის 79-ე II მუხლის საფუძველზე ანაზღაურებადი ზიანი, სახეზეა თუ საქმე გვაქვს ე.წ. „ნეგატიურ“ ზიანთან, რაც გულისხმობს შეცილების ადრესატის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, როგორშიც ის იქნებოდა, მას კანონიერი ნდობა, რომ არ წარმოშობოდა ნების გამოვლენის მიმართ, კერძოდ, ისეთ მდგომარეობაში თითქოსდა გარიგება საერთოდ არ დადებულა. ამ შემთხვევაში ნეგატიური ზიანი სახეზე არ არის, ვინაიდან შესაძლებელია პირვანდელი მდგომარეობის სრულად აღდგენა. რაც შეეხება მარის მიერ კლიენტის გაშვების ფაქტს, აღნიშნული არ გამორიცხავს ნახატის მოგვიანებით გაყიდვის შესაძლებლობას. თუმცა ზიანი შესაძლებელია ყოფილიყო სხვაობა ნახატის საბაზრო ღირებულებასა და დაკარგული კლიენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს შორის. კაზუსში არ არის საკმარისი მონაცემები ფასებს შორის სხვაობის დასადასტურებლად. შესაბამისად, ზიანის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ დამატებითი გარემოებების ცოდნის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.
- დ) რაც შეეხება სსკ-ის 79-ე II მუხლში მითითებულ ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებას: შესაძლებელია სადავო იყოს ასევე ის ფაქტი, რომ მარის მიერ საცილობის

საფუძვლის არცოდნა გამოწვეული იყო დაუდევრობით. კერძოდ, კაზუსიდან ცნობილია, რომ ნიკას თან ჰქონდა ნახატების კატალოგი. მარის მიერ სათანადო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში, მარტივი იქნებოდა ნახატის სწორად იდენტიფიცირება და შესაბამისად შეცდომაც აღარ იქნებოდა სახეზე. თუმცა კაზუსში მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ნიკა მარის მხოლოდ ნახატის სახელწოდების ნაწილს ეუბნება და შესაბამისად, მარისათვის უცნობი იყო კონკრეტული ნახატი, რომლის შეძენაც სურდა ბექას. ნაკლებ სავარაუდოა რომ მარის შესაძლებლობა ჰქონდა სცოდნოდა ნიკას მიერ დაშვებული შეცდომის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზე არ გვაქვს სსკ-ის 79-ე მუხლის II ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა.

- დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარის არ აქვს/აქვს ბექასაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 79-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე.